№ 25
ოთხშაბათი, 2 თებერვალი 1894

1877—1894

ივერია

№ 25
ოთხშაბათი, 2 თებერვალი 1894

რედაქცია:
ნიკოლოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.
ბაზეთის დასაბეჭდად
უნდა მიმართონ რედაქციას და წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოების კანცელარიას—სასახლის ქუჩა, ბანკის ქარვასლა.
ფასი განცხადებისა:
ჩვეულებრივი სტრიქონი 8 კაპეიკი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბაზეთი ღირს:

თვე	მან.	კ.	თვე	მან.	კ.
12	10	—	6	6	—
11	9	50	5	5	50
10	8	75	4	4	75
9	8	—	3	3	50
8	7	25	2	2	75
7	6	50	1	1	50

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

ᲓᲦᲔᲡᲐᲡᲬᲐᲣᲚᲘᲡ ᲒᲐᲛᲝ ᲨᲔᲛᲓᲔᲒᲘ ᲜᲝᲛᲔᲠᲘ ᲒᲐᲛᲝᲬᲘᲡ ᲞᲐᲠᲐᲡᲙᲔᲕᲡ, 4 ᲗᲔᲗᲒᲔᲠᲕᲐᲚᲡ.

„ᲘᲕᲔᲠᲘᲐ“
გამოდის 1894 წელს
ᲘᲛᲐᲕᲔ ᲞᲠᲝᲒᲠᲐᲛᲘᲗ, ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲬᲘᲜᲐᲓ.

ვაზეთის დაბარება შეიძლება შემდეგის ადრესით:
ᲢᲤᲘᲚᲘᲡᲘ,
„ᲘᲕᲔᲠᲘᲘᲡ“ ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲐᲡ
ნიკოლოზის ქუჩა, 21.
და „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოების კანცელარიის,“ სასახლის ქუჩა, ბანკის ქარვასლა.
საფოსტო ადრესი:
ᲤᲘᲤᲚᲘᲡᲬ. Редакція „ИВЕРІА“.

ქართული თეატრი
ოთხშაბათს, 2 თებერვალს
ᲗᲔᲐᲢᲠᲘᲡ
გ. კანდელაკისა და კ. შათირიშვილისა
ქართული დრამატიული საზოგადოების დასის მიერ
ᲑᲜ ᲧᲘᲤᲘᲐᲜᲘᲡ
მონაწილეობით
წარმოდგენილი იქნება:
I
ᲓᲐ-ᲫᲛᲐ
ისტორ. დრ. 5 მოქ. ვ. გუნიასი
II
ᲓᲘᲕᲔᲠᲢᲘᲡᲛᲔᲜᲢᲘ
ბ.ბ. გედევანოვის, შათირიშვილის, კანდელაკის და გუნიას მონაწილეობით.
წარმოდგენაში მონაწილეობას მიიღებს მთელი დასი
ადგილების ფასი ჩვეულებრივია.
დასაწყისი 7½ საათზედ.

ᲤᲔᲚᲔᲢᲝᲜᲘ

ᲗᲐᲕᲐᲓ-ᲐᲖᲜᲐᲣᲠᲗᲐ ᲡᲐᲒᲐᲜᲒᲔᲑᲝ ᲙᲠᲔᲑᲐ ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲨᲘ.

(დასასრული *)

Შ. Ბ. ᲩᲮᲔᲘᲫᲔ—სანამ მაგ საგნის გარდაწყვეტას შეუდგებოდეთ, ნება მიბოძეთ, გკითხოთ: სად არის ქალაქი მინისტრისა, რომელზედაც თქვენ ბრძანებთ და თუ არის—გთხოვთ წაგვიკითხოთ.

თ. ს. ᲬᲐᲠᲬᲝᲜᲯᲔ—ნამდვილი ქალაქი გუბერნიის სამართველოში არის და პირი-კი ბანკის მმართველობას გაეგზავნა და, უთუოდ, თქვენც, როგორც ერთს იქ მოსამსახურეს, გეცოდინებათ მისი შინაარსი. თუ მაინცა და მაინც გნებავთ, აქ არის დღეს ლ. ნ. ასათიანი, რომელსაც შეუძლიან იმ ქალაქის შინაარსის გადმოცემა.

ᲓᲔ. Ნ. ᲐᲡᲐᲗᲘᲐᲜᲘ—მართალია, ბ-ნ მინისტრისაგან პირდაპირი ბრძანება არ მოსულა, უთუოდ ასე მოქეცი-

*) იხ. „ივერია“, № 24.

ᲪᲥᲘᲚᲘᲡᲘ, 2 თებერვალს*)

როგორცა სჩანს დღევანდელ ფელეტონში დაბეჭდილ ანგარიშითგან, ქუთაისის საადგილ-მამულო ბანკის მართველს ჩიკვაძეს ერთხელ კიდევ გამოუნავარდნია საზოგადო საქმის ასარევად და ჩასაშლელად.

მაგრამ ამ გზობით ჩიკვაძეს აღარ ეტყობა ის რიხი, რომელსაც იგი იჩენდა ბანკის კრებებზედ.

თუმცა ამ შემთხვევაშიც საკმაოდ კარგად დაამტკიცა ჩიკვაძემ, რომ მას არაფრად არ მიაჩნია უმართებულო ექვის შეტანა მთელის თავად-აზნაურობის წარმომადგენელის სიტყვის წინააღმდეგ; თუმცა არანაკლებად სთელის იმასაც, რომ ამავე კრებაში გამოაშკარავდა იმისი უსაფუძვლო ექვი, რადგანაც მინისტრის ქალაქდისაგან ნათლად აღმოჩნდა ის, რასაც ეუბნებოდა თავად-აზნაურობას მისი მარშალი.

*) ამ წერილის წაკითხვის წინად ვთხოვთ მკითხველს დღევანდელი ფელეტონი წაიკითხოს ამავე საგნის შესახებ.

თო, მაგრამ ქალაქში-კი წინადადებას ძლიერ გარკვეულს გვაძლევს; სწორედ იმნაირს, როგორც ბ-ნ გუბერნიის წინამძღოლმა გაუწყათ. ამ ქალაქის პირი, დიდი ხანია, გაეგზავნა მმართველობას ბანკისას და მისი შინაარსი უკვე ყველამ იცის; თუ მაინცა და მაინც გნებავთ და საჭიროება მოითხოვს—ეხლავე მოვიტანენ იმ ქალაქს და წაგიკითხავთ.

(სკამებზე უკანა წყობაში, სადაც ღმერთმან უწყის, ვინ იყვნენ, ხმაურობა ისმის... „არ არი! თუ არი,—სად არი? თუ არი, მოიტანეთ“ და სხვა.—თავმჯდომარე წესს იცავს...)

Ჯ. Ნ. ᲩᲮᲔᲘᲫᲔ—ჯერ ეს მიბრძანეთ: დღევანდელი თქვენი კრება რა კრება არის—მარტო «ჩინოსნების» კრებაა, თუ ყოველი აზნაურისა? ვინ უნდა გადასწყვეტოს საქმე?

თ. ს. ᲬᲐᲠᲬᲝᲜᲯᲔ—საქმე უნდა გადასწყვეტონ მარტო იმათ, ვისაც უფლება აქვთ სააზნაურო არჩევნებისა; დასწრებით, ლაპარაკით და რჩევით ყველა თავად-აზნაურს შეუძლიან დაგვეხმაროს.

Ჯ. Ნ. ᲩᲮᲔᲘᲫᲔ—ძალიან კარგი!... მე იმიტომა ვსთქვი ეს, რომ დღეს

მაგრამ ასეთის უსიამოვნო გარეშოების წინ ჩიკვაძე ჩვეული არ არის შემდრკალიყო და დაწყებული კინკლაობა ბოლომდის არ მიეყვანა. ეხლა-კი, უთუოდ, როდესაც კრებითგან გასცლა განიზრახა და ამით გამოაცხადა პროტესტი თავად-აზნაურთა სურვილისწინააღმდეგ, კარგად ახსოვდა, რომ აქ საჭირო იყო კრების უმრავლესობის თანაგრძნობა და ეს უმრავლესობა, როგორც აღმოჩნდა, აღარ შეიქნა ჩიკვაძის ხატის შემავალი.

თავად-აზნაურობამ ეხლა მიიღო პროექტი წარმომადგენელთა და ეს საქმე თავის წესსა და რიგზე წავა.

მერე ვისგან შეიქნა თავად-აზნაურობა იძულებული, რომ ასეთი შუამდგომლობა გაეწია მთავრობის წინაშე და ვრცელი უფლება საზოგადო საქმეში მონაწილეობისა შეეზღუდა?

— იმავე კალისტრატე ჩიკვაძისაგან, რომელმაც საზოგადოების მოთმინების საწყაო აღავსო და რომელსაც თავის ნამოქმედარის შედეგი დღეს თავზე ატყდება.

მე�ელი

ᲐᲮᲐᲚᲘ ᲐᲛᲑᲐᲕᲘ

*** გავახსენებთ ჩვენს მკითხველებს, რომ დღეს, 2 თებერვალს, ქართულს თეატრში დანიშნულია ბენეფიში ორის ახალგაზდა არტისტისა ბ-ნთ კანდელაკისა და შათირიშვილისა. წარმოდგენილი იქნება ვალ. გუნიას ხუთ-მოქმედებიანი დრამა „და-ძმა“ და დივერტისმენტი, რომელშიაც თვით მებენეფისეთა გარდა, მონაწილეობას იღებენ გედევანოვი, აწყურელი და სხ. თვით პიესაში სა-

აქ ბევრს იმისთანას ვხედავ, რომელსაც არავითარი „ჩინი“ არა აქვს და არც ცენზი აქვს... მე თუმცა ჩინი არა მაქვს, მაგრამ, ნაცვლად ამისა, განთლება მივიღე და ამისთვის ყოველ გვარ კრების წევრი ვარ... მე ის მინდოდა მეთქვა, რომ არავითარი იმისთანა ქალაქი არ მოსულა, რომელსაც ასახელებენ; მინისტრს არაფერი არ მოუწერია!...

(უკანა წყებაში მოისმის: დიაღ! მართალია, მართალი).

ეს ყველაფერი პირადის ანგარიშების ბრალია! ამბობენ, ვითომ ჩვენის ბანკის კრებებზედ უწესოება ხდებაო; ვითომ ჩვენი ბანკის საქმე ცუდად მიდისო; ვითომ მთელი ჩვენი მამულები ტფილისის ბანკში გადადისო... გადადის იმიტომ, რომ ტფილისის ბანკი ერთი-ორად მეტს სესხს იძლევა, არ ვიცი-კი რად, მობრძანდით ბანკში და ამას დაგიმტკიცებთ...

შემდეგ ბ-ნი ჩიკვაძე მოჰყვა, რომ მინისტრმა ესა და ეს ქალაქდი გამოჰგზავნაო, რაღაც ქალაქდი დაასახელა; ჩამოთვალა თუ ვინ წაიკითხა ის ქალაქდი; რა თქვა ბ-ნმა გუ-

ᲛᲔᲠᲔ ᲕᲘᲡᲒᲐᲜ ᲨᲔᲘᲫᲚᲔᲑᲐ ᲐᲠᲐᲠᲬᲛᲣᲜᲘᲡᲬᲘᲜᲐᲐᲛᲓᲔᲒᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲩᲘᲚᲘᲡᲬᲘᲜᲐᲐᲛᲓᲔᲒᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲐᲠᲐ ᲐᲠᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲠᲙᲐᲚᲔᲑᲐ ᲓᲐ ᲓᲐᲓᲒᲘᲚᲘᲐ ᲑᲝᲚᲝᲛᲓᲘᲡ ᲐᲠ ᲛᲘᲘᲦᲔᲑᲐ. ᲔᲮᲚᲐ-ᲙᲘ, ᲣᲗᲣᲗᲣᲠᲐ, ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲙᲠᲔᲑᲘᲗᲒᲐᲜ ᲒᲐᲡᲕᲚᲐ ᲓᲐ ᲐᲛᲘᲗ ᲒᲐᲛᲝᲬᲘᲪᲮᲐᲓᲐ ᲞᲠᲝᲢᲔᲡᲢᲘ ᲗᲐᲕᲐᲓ-ᲐᲖᲜᲐᲣᲠᲗᲐ ᲡᲣᲠᲕᲘᲚᲘᲡᲬᲘᲜᲐᲐᲛᲓᲔᲒᲘᲡ, ᲙᲐᲠᲒᲐᲓ ᲐᲮᲡᲝᲕᲓᲐ, ᲠᲝᲛ ᲐᲥ ᲡᲐᲭᲘᲠᲝ ᲘᲧᲝ ᲙᲠᲔᲑᲘᲡ ᲣᲛᲠᲐᲕᲚᲝᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲗᲐᲜᲐᲒᲠᲫᲜᲝᲑᲐ ᲓᲐ ᲔᲡ ᲣᲛᲠᲐᲕᲚᲝᲑᲐ, ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲐᲦᲛᲝᲩᲜᲓᲐ, ᲐᲦᲐᲠ ᲨᲔᲘᲥᲜᲐ ᲩᲘᲩᲕᲐᲘᲫᲘᲡ ᲮᲐᲢᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒᲘ.

ᲗᲐᲕᲐᲓ-ᲐᲖᲜᲐᲣᲠᲝᲑᲐᲛᲐ ᲔᲮᲚᲐ ᲛᲘᲘᲦᲝ ᲞᲠᲝᲔᲥᲢᲘ ᲬᲐᲠᲛᲘᲛᲐᲓᲒᲔᲜᲔᲚᲗᲐ ᲓᲐ ᲔᲡ ᲡᲐᲥᲛᲔ ᲗᲐᲕᲘᲡ ᲬᲔᲡᲡᲐ ᲓᲐ ᲠᲘ�გᲖᲔ ᲬᲐᲕᲐ.

ᲛᲔᲠᲔ ᲕᲘᲡᲒᲐᲜ ᲨᲔᲘᲥᲜᲐ ᲗᲐᲕᲐᲓ-ᲐᲖᲜᲐᲣᲠᲝᲑᲐ ᲐᲠ ᲐᲘᲫᲣᲚᲔᲑᲣᲚᲘ, ᲠᲝᲛ ᲣᲐᲠᲐᲘᲡᲝ ᲨᲣᲐᲛᲓᲒᲝᲛᲚᲝᲑᲐ ᲒᲐᲔᲬᲘᲐ ᲩᲘᲚᲘᲡᲬᲘᲜᲐᲐᲛᲓᲔᲒᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲨᲘ ᲓᲐ ᲕᲠ-ᲙᲔᲚᲘ ᲤᲣᲚᲔᲑᲐ ᲣᲐᲠᲘᲡᲝᲑᲐ ᲐᲠ ᲛᲘᲡᲬᲚᲝ.

ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲐᲡᲔᲗᲘᲡ ᲣᲡᲘᲐᲛᲝᲕᲜᲝ ᲒᲐᲠᲔᲨᲝᲑᲘᲡ ᲬᲘᲜ ᲩᲘᲩᲕᲐᲘᲫᲔ ᲩᲕᲔᲣᲚᲘ ᲐᲠ ᲐᲠᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲠᲙᲐᲚᲔᲑᲘᲗᲘᲐ ᲓᲐ ᲓᲐᲬᲧᲔᲑᲣᲚᲘ ᲙᲘᲜᲙᲚᲐᲛᲑᲐ ᲑᲝᲚᲝᲛᲓᲘᲡ ᲐᲠ ᲛᲘᲘᲦᲔᲑᲐ. ᲔᲮᲚᲐ-ᲙᲘ, ᲣᲗᲣᲗᲣᲠᲐ, ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲙᲠᲔᲑᲘᲗᲒᲐᲜ ᲒᲐᲡᲕᲚᲐᲡᲗᲐᲜᲐᲒᲠᲫᲜᲝᲑᲐ ᲓᲐ ᲐᲛᲘᲗ ᲒᲐᲛᲝᲬᲘᲪᲮᲐᲓᲐ ᲞᲠᲝᲢᲔᲡᲢᲘ ᲗᲐᲕᲐᲓ-ᲐᲖᲜᲐᲣᲠᲗᲐ ᲡᲣᲠᲕᲘᲚᲘᲡᲬᲘᲜᲐᲐᲛᲓᲔᲒᲘᲡ ᲩᲘᲚᲘᲡᲬᲘᲜᲐᲐᲛᲓᲔᲒᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲐᲠᲐ ᲐᲠᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲠᲙᲐᲚᲔᲑᲘᲗᲘᲐ ᲓᲐ ᲓᲐᲓᲒᲘᲚᲘᲐ ᲑᲝᲚᲝᲛᲓᲘᲡ ᲐᲠ ᲛᲘᲘᲦᲔᲑᲐ. ᲔᲮᲚᲐ-ᲙᲘ, ᲣᲗᲣᲗᲣᲠᲐ, ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲙᲠᲔᲑᲘᲗᲒᲐᲜ ᲒᲐᲡᲕᲚᲐᲡᲗᲐᲜᲐᲒᲠᲫᲜᲝᲑᲐ ᲓᲐ ᲐᲛᲘᲗ ᲒᲐᲛᲝᲬᲘᲪᲮᲐᲓᲐ ᲞᲠᲝᲢᲔᲡᲢᲘ ᲗᲐᲕᲐᲓ-ᲐᲖᲜᲐᲣᲠᲗᲐ ᲡᲣᲠᲕᲘᲚᲘᲡᲬᲘᲜᲐᲐᲛᲓᲔᲒᲘᲡᲐᲗᲕ

ეროვნული ბიბლიოთეკა

გები და იმათ თავიანთის ნებით გადასცეს ნაძალადევის სახლების პატრონებთა, რომელთაც ეხლა ქალაქიდგან აღარ მიაქვთ შენობის მასალა და იაფ ფასად იქვე „ნაძალადევში“ ყიდულობენ შენობებისთვის ქვას, თიხა და ხე ტყე იქვე აქვთ და ამ გვარად სახლება აშენებენ ქალაქის მიწაზედ. „ნაძალადევი“ ამ ჟამად სამ ვერსის მანძილზედ გაშენდა.

*** ტფილისის მეპატრეებმა მიჰმართეს ქალაქის მოურავს და სთხოვეს ბური ფასის მომატება. ნება მოგვეცით ბური იმ ფასად გავყიდოთ, რა ფასადაც იყიდება ტფილისში ფქვილი და ჩვენი მოგება ის იქნება, რასაც ბური ცხობაში წონას მოიმატებსო.

*** კავკასიის ოლქის გზათა უწყების უფროსმა მიიღო ინჟენერის საურთიერთო დამხმარებელ საზოგადოების წესდება პეტერბურგიდგან. ამ საზოგადოების მმართველობა სთხოვს ოლქის უფროსს ბ-ნ სტატკოვსკის, დაგვეხმაროთ, რომ ამ საზოგადოების წევრებად კავკასიის ინჟენრებიც ჩაეწერნენო.

*** ამ ჟამად ქალაქის საქმეთა საკრებულო სინჯავს ტფილისის ქალაქის გამგეობის მიერ წარდგენილს შეასვენებელს ხარჯთ-აღრიცხვას. ეს ხარჯთ-აღრიცხვა სპარობს წინანდელს 120,000 მანათით.

*** გრაფ. ტიზენჰაუზენმა დაამტკიცა ქალაქის საბჭოს დადგენილება იმის შესახებ, რომ ქალაქის ბაზრებში არ იყიდებოდეს ღორის ხორცი თუ საქმიო ლაბარატორიის მიერ გასინჯული არ არის და ამისი ნიშანი ზედ არ ატყვიაო.

*** ტფილისის ღარიბთა თავ-შესაფარის ასაშენებლად ტფილისის პოლიციმეისტერმა ლ. ბ. მასტიცკიმ სთხოვა ქალაქის გამგეობას აღაგი ვერის მეიდანზედ, მაგრამ ქალაქის გამგეობამ არ დაუთმო დასახლებული აღაგი და ამიტომ ბ-ნი მასტიცკი იძულებულია შეისყიდოს კერძო კაკისაგან შუაგულ ქალაქში აღაგი ღამის თავშესაფარის ასაშენებლად.

მჯდომარე ზარს აწკარუნებს ამ დროს ისმის ბ-ნ ბესარიონ გაბაშვილის ყვირილი:)

„მართალი თქვა ჩვენმა კალისტრატემ!.. აბა თქვენ რა უფლება გაქვსთ? (თავმჯდომარე ზარს უწკარუნებს) თქვენ დაგვლუპეთ, ყმაწვილ-კაცებო! (თავმჯდომარე ზარს ჰკრავს). მე ქე ვთქვი ჩემი, და აწი მანდერ გ. აბ—ძე ალაპარეკეთ, აბა!.. (გადის.)

თ. დავით წულაიძე—აი, ღმერთო! რა დროს მოვესწარით! უფალი ბესარიონ გაბაშვილი ზნეობასა და ყმაწვილ კაცობაზე უნდა ლაპარაკებდეს!.. უნდა მოგახსენოთ, ეგ და მაგის ამბრები ამშვენებენ საზოგადოებას და საერო საქმეს...

(ხმაურობა, ყვირილი შეიქნება; თავმჯდომარე სცდილობს წესი დაიცვას).

ბ. ბ. ჩხეიძე— მე კიდევ ეს უნდა მოგახსენოთ, რომ ჩვენ ამ ნაირის მოქმედებით, დღევანდელის ჩვენის შეკრებით სასარცხვიანო საქმეს ჩავდვართ! ისეთს სასარცხვიანოსა, რომ თავს ვერსად გამოვყოფთ! რამდენჯერ მოგვარტყეს ხოლმე ჩვენი გადაწყვეტილება!.. ნუ ვიზამთ ამ გვარ საქმეს,

*** გუშინ ალიხანოვის სახლში კრება ჰქონდა ახალ ზაზოგადოების „ბაგე“-ს დადგენილებელ წევრთა. კრებამ განიხილა ამ საზოგადოების წესდების პროექტი, რომელსაც დასამტკიცებლად წარუდგენენ ბ-ნ შინაგან მინისტრს. ეს საზოგადოება არსდება იმ აზრით, რომ ზედამხედველობა იქონიოს იმ ბავშვებზედ, რომელთა დედ-მამანიც დღიურად მუშაობენ და იძულებულნი არიან ბავშვები დასტოვონ ყურ-უყდებლად შინ. ამისათვის საზოგადოებას სწადიან დაარსოს თაკ-შესაფარები, სადაც მიიღებენ ბავშვებს 4 კვირიდგან 7 წლისამდე.

*** იმიერ საბაშოო: აქაურ სოფლებში ძალიან გახშირდა „ინფლუენცა“ ,ანუ სურდო-ხველა. ერთი ოჯახი არ არის, რომ ავად არავინ გამხდარიყოს ამ სნეულობით, თუმცა სიკვდილით ზარალს არვის აძლევს, ღვთით, ჯერ-ჯერობით.

*** სოფ. ციხე (გურია): დიდ გასაჭირში ჩავვადგო წლეულ აქაური მცხოვრებლები ეკრედ წოდებულმა „კისრის ტკივილმა“, რომელიც მუსრს ავლებს ხალხს, უმეტეს ნაწილად-კი ძუძუთა ბავშვებს. დიდს გაჭირვებაში ვიყავით აგრედვე მცხოვრებლები უსკოლობის გამო: სხვა სოფლის სკოლაში ბავშვების გზავნა ძალიან გვიჭირდა და გვიძნელებდა, მაგრამ, ღვთით ამ გასაჭირს ბოლო მოეღო. შარშან ენკენისთვეში აქაურმა ბლაღოჩინმა მამა სილიბისტრო ხუნდაძემ იმდენი შემწეობა მოგვცა, რომ, როგორც იქნა, ჩაგონა ხალხს და სკოლა დაარსებინა.

აქეთ ძალიან ყინვა და სიცივეა. ხალხი ამბობს ამ ნაირ ცუდს ამინდებს კარგა ხანია არ მოგსწრებიხართო.

*** ახალ-სენაკი: 11 იავარს ჩვენი დაბა სწორედ სამწუხარო სურათს წარმოადგენდა, როდესაც გაძლიერებულ ცეცხლის ალში იყო გახვეული. გადაიწვა შვიდი ხის დუქანი. ცეცხლი ისე მსწრაფლად მოეღო, რომ პატრონებმა ვერაფერი საქონელის გამოტანა ვერ მოასწრეს. ცეცხლის

თავად-აზნაურობა ნუ შეერცხვებით. ამისთანა შუამდგომლობა ჩვენი საქმე არ არის...

თ. ს. წერეთელი. მაგაზე ლაპარაკი საჭირო არ არის და მეტიცაა; ეგ საქმე ასე გადავწყვიტეთ, რომ სწორედ ნება გვაქვს და ჩვენი თხოვნა კანონიერია... (ხმაურობაა).

გრ. ბაბაშიკ.—აქ ორნაირი საგანი წარმოსდგა: 1, კანონიერია თუ არა დღევანდელი კრება და 2, თუ კანონიერია—გვაქვს თუ არა ნება ამ გვარის შუამდგომლობის? ორივე საგანი სულ მარტივია და ტყუილა დროს დასაკარგვათ აღძრული. გადაწყდეთ IX ტომი და დარწმუნდებით, რომ დღევანდელი საგანგებო კრება კანონიერია. რაიცა შეეხება ნებას, ამაზე მოგახსენებთ, არამც თუ თავად-აზნაურობას, არამედ თვითოეულ ჩვენთაგანს ნება აქვს თხოვნით მიიქცეს, სადაც ჯერ არს. მე, მართო მე თუ შემიძლიან ღმერთს შევევედრო, ხელმწიფეს შევევედრო, უფროსსა და ძლიერს ვსთხოვო, რომ წაართვა ეგეთ უფლება თავად-აზნაურთა კრებას?.. ჩვენ ვსცდებით, როცა ვამბობთ უნდა გადაწყვეტილება!.. ნუ ვიზამთ ამ გვარ საქმეს,

---

ბოლ. ჩვენ, ბბ.-ნებო, კი არა ვსწყვეტავთ, არამედ საერთო თხოვნას, შუამდგომლობას ვარდგენთ უმაღლეს მთავრობის წინაშე, რომელსაც შეუძლიან შეიწყნაროს, ანუ არ შეიწყნაროს ჩვენი თხოვნა... უკაცრავად-კი ვარ და ბ-ნ ჩხეიძის სიტყვები ბავშვურ აზრს მაგონებს...

ბ. ჩხეიძე.—ძაან უკაცრავად ხარ და, რომ ბოდიში არ მოგეთხოვა, მოგვთხოვინებდი...

გრ. ბაბაშიკ.—დიაღ, იმას მოგახსენებთ, რომ ბ-ნ ჩხეიძის სიტყვები სწორედ ბავშვურ აზრს მაგონებს'... „სამარცხვინო საქმეს ნუ ვიქმთო!“ რას ვაკეთებთ სამარცხვინოს? ჩვენ ვხედავთ, რომ ჩვენი საერთო საქმე ილუპება; ჩვენ მივდივართ მისაშველებლად! ეს სამარცხვინოა?... ჩვენ ვხედავთ, რომ ჩვენ საზოგადოებას არ ცხვენენ, ჩირქსა სცხებენ ისეთები, რომელთაც არც ზნეობრივი და არც ფორმალური უფლება აქვთ ჩვენ საზოგადოებაში ერიენენ. ჩვენ გვინდა ესენი მოვაშოროთო, სირცხვილს ავცდეთ, საგანი, საქმე გამოვიკვლიოთ!... ეს სამარცხვინოა?... არა, ეს კი არ არის სამარცხვინო—სამარცხვინო ის იქნება, ასე რომ არ მოვიქცეთ! ის უნდა იწოდეს სირცხვილით, ვინც ამ საქმეს ხელს უშლის!.. ის ხომ არ იყო, სირცხვილი, რომ ბ-ნი ჩიკვაიძე და თვით ბ-ნი ჩხეიძე წინა კრებებზედ თავად-აზნაურთ სთხოვდნენ—ეგეშუამდგომლოთ ესადა-ეს სასამართლოსაგან დასჯილი ავაზაკი ხელმწიფემ გვაპატიოს, დაგვიბრუნოსო და საერთო საქმის მიშველება-კი მათთვის სამარცხვინოა!.. მე ვთხოვე ეს საქმე დამოლოებულ საქმედ ჩაითვალოს და კენჭი ეყაროს პროექტს...

შემდეგ ბ-ნმა კირილე ლორთქიფანიძემ და სხვებმა წარმოსთქვეს ძლიერ ვრცელი და საფუძვლიანი სიტყვა, რომლითაც დაუსაბუთეს კრებას მისი კანონიერებაც და საჭიროებაც ამ გვარის შუამდგომლობისა წინაშე უმაღლესის თავრობისა.

თავმჯდომარემ 10 წამით შესწყვიტა კრება. შემდეგ როცა კრება კვლავ შეგროვდა წაუკითხეს მინისტრის ქალაღლი, რომლიდგანაც ცხადად დაინახა კრებამ, რომ ბ-ნ მინისტრის სურვილია წარმომადგენელთა დაწესება. დაიწყო კენჭის ყრა და პროგაუტეხეს თავი რავდენსამე ალაგას და დაუსახიჩრეს ცხვირ-პირი. ამ ჩხუბმა და ორონტრიალმა კარგა ხანს თურმე გასტანა, მაგრამ გამშველებელი არავინ გაჩნდა.

ისე არ ჩამოვლენ სადგურლები ბორჯომში, რომ ერთი უბედურობა რამ არ შემმთხვინონ ვისმე.

სასიამოვნო ამბავი აქეთ ის არის, რომ ბორჯომში ქართული წიგნები თან-და-თან ვრცელდება.

*** ფოთი: 29 იანვარს, რკინის გზის ლიანდაგის ფერდობზე, აქედამ 47 ვერსის მანძილზე იპოვნეს გვამი ვიღაც უცნობის კაცისა.

*** ქიზიყი. გულის ძგერითა და ფანცქალით შეჰყურებს გლეხ-კაცობა ჯერ ისევ ერთად ამინდებსა და ტაროსის ცვლას. მოუსავლობამ, უფრო-კი პირნახულისამ, ძალიან დაანშინა ხალხი და ეს არის მიზეზი, რომ ამინდსა და აჰვას ასეთის ყურადღებით შესცქერის. 1892 და 1893 წელი ძალიან ძუწი წელიწადი იყო ქიზიყისათვის, მეტადრე 1892 წელი, როცა სანახევროდ სამყოფი სარჩო არ მოუვიდათ. მოდიოდა მხოლოდ ღვინო საკმაოდ კარგად, მაგრამ, რა გამოვიდა: როცა პირნახულის ფასმა ძრიელ აიწია და სულადი ვიძვირდა, ღვინის მაზანდა მაშინ დაეცა. ღვინო ეს კარგა ხანია ძალიან ნაკლებ ფასად ისყიდება; მის გამო ხალხი იოლად ვეღარ მიდის. ის-კი არა, ბევრი იაფ-ფასადაც-კი ვერა ჰყიდის ღვინოს და იძულებულია არაყი ჰხადოს და ისა ჰყიდოს. კახური ღვინოები და არაყთ ხდა ღმერთი აღარ არის? მაგრამ რას იზამ, შიმშილსა და გაპირებას სად წაუხვალ. აქეთ დამართეს მრავალად არაყის სახდელი ქარხნები. გლეხმაც და თავადმაც არაყს დაუწყეს ხდა: ხდიან თხლისასაცა და ღვინისასაც. ამ გარემოებამ დასწია ფასი არაყისა. თუ აქამდე ტფილისში იძლეოდნენ გრადუსში ორ შაურს, ახლა 9 კაპეიკზემეტს აღარ იძლევიან და მწარმოებელთ ხეირი აღარა აქვთ-რა. საქმე იქამდე მივიდა, რომ ბევრი ხვნა-თესვას ვეღარ ახერხებს: ან სხვას აძლევს მამულ-დედულს შესამუშავებ-

---

ექტი დიდძალის ხმის უმეტესობით მიღებულ იქმნა.

პროექტის უმთავრესი შინაარსი ის არის, რომ ნაცვლად საერთო კრებისა უნდა იყოს კრება წარმომადგენელთა.

მთელს გუბერნიაში წარმომადგენელთა რიცხვი უნდა 200 იყოს. (აქ მიღებულია სახეში ყოველ მაზრისაგან, შემოტანილი ბანკში დასაარსებელი თანხა და რიცხვი მცხოვრებელთა).

კრება უნდა მოხდეს, მაზრებში; კრებას თაოსნობს მაზრის თავადაზნაურთა წინამძღოლი. კრებას ესწრება ყველა, ვისაც ცოტაოდენი ფული მიინცა აქეს შეტანილი ბანკში. ყველას აქვს თითო ხმა (ვექილობა მოსპობილია). საგუბერნიო კრება კანონიერია, თუ 100 წარმომადგენელი დაესწრო.

ყოველივე საჩივარი სამაზრო კრების შესახებ მაზრისავე კრებამ უნდა გადასწყვიტოს; სამაზრო კრება არაერთვარ საგანს არ შეეხება, მხოლოდ წარმომადგენელნი უნდა აირჩიოს.

აი უმთავრესი ცვლილებანი, რომელიც სათავად-აზნაურო პროექტს სურს შემოტანს ჩვენს საბანკო საქმეებში... ღმერთმა ბრძანოს!

ვინმე.

26 იანვარი
1894 წელიწადი
ქ. ჭუთაისი

დამაგვირდი

—

შეუკერბუნდეთ ერთმანეთთან სიუბარი აწასოდეს მოსწყენებენთ, რადგან თავის თავზედ ჭაბარაკობენ.

ლარუშეფეკ.

**

დედაკაცი საგანგებო ქმნილებაა ბუნების შემოქმედობისა.

ლესინგი

**

ზარმაცმა რომ სარწმუნოებაში ხსნა მოიმოგოს, კვრა დღეს ქრისტიანი უნდა იყოს, ორშაბათს'—ბერძენი, სამშაბათს—სპარსელი, ოთხშაბათს—ასირიელი, ხუთშაბათს—კეკეტელი, პარასკევს—ოსმალო და შაბათს—ებრაელი.

საფსირ. ლეფმეკ.

ნაწყვეტი

—

როგორც სიბრძნე სიბრძნეს ეძებს
და სირეგვნე სირეგვნესა,
ისეც კაცი ქალს დაეძებს,
კაცუნა-კი ფულ-მზოთევსა.

ქალი ბრძენიც იმ კაცს ეძებს
ვინც ედრება ნიკონ მზესა,
ქალუკანნა დოვლათს ტრფის,
ჩინს, აპელატს, ბუქს და ბზესა.

შემოწირულობა

—

ამასთანავე გიგზავნით დ ოჩემჩირეში შეკრებილს 65 მანეთს შოთა რუსთაველის ფონდის სასარგებლოდ და გთხოვთ დაბეჭდოთ ერთ-ერთ-ნომერში თქვენს გაზეთისა სია შემომწირველთა.

ალექსანდრე ინაშვილი 10 მან., კონსტანტინე წერეთელი 5 მან., თეიმურაზ ჩაჩავა 3 მან., ქაიხოსრო მახარაძე 3 მან., ტრიფონ კაკბარაკი 3., გიორგი აბაშიძე 3 მან. ბაბვა სალაყაია 2 მან., სისო თურქია 2 მან., ფარნა დავთასი 2 მან., კლემენტი ლორთქიფანიძე 2 მან., ლუხარე ზვალაძე 2 მან, ბლაღ. მღვ. ი. კერესელიძე 1 მან., სალომე კერესელიძე 1 მან., ისაონ გეგელაშვილი 1 მან., არტემ კერესელიძე 1 მან., კვაჭა აკირთავა 1 მან., დარისპან ელოდა 1 მან., სვიმეონ ჩაჩავა 1 მან., გუთუ გვასალია 1 მან., ივანე ტაბიძე 1 მან., ფარნა ჯაბავხია 1 მან., არჩილ შუშანია 1 მან., ყარამან ჯაბავხია 1 მან., ნესტორ ეთრდანია 1 მან., მემედ ეფენდი მიღოლოღლი 1 მან., კარაბასან ეფენდი 1 მან., ანდრია შენგელია 1 მან., გრიგოლ გუგუნავა 1 მან., ტაგუ ბოკუჩავა 1 მან., ბეკა გიგია 1 მან., ილია თვალთვაძე 1 მან., მარიამ ჩაჩავასი 1 მან., პეტრე ჩარგა 1 მან., კოსტა ეთრდანია 1 მან., ალექსი გულუა 1 მან., კნწ. კოსტა ემუხვარი 1 მან., გიგია კვირაია 1 მან., ისმან მახარია 1 მან., გიორგი ზლატერი 50 კაპ., ნესტორ გამეცლიძე 50 კაპ.,

სულ 65 მანეთი

ოჩემჩირის სკოლის ზედამხედველი ლაზ. ხმალაძე

ᲙᲝᲠᲔᲡᲞᲝᲜᲓᲔᲜᲪᲘᲐ

—

ს. ᲯᲘᲛᲘᲗᲘ (სოფლიის მაზრა) 29 ივნვარი. სოფ. ჯიმითისთანა უკუღმართ ბედზე გაშენებული სოფელი ძნელად თუ სადმე მოიძებნება. არ გეგონოთ-კი, რომ ეს სოფელი გარეშე მიზეზებით იყოს ესეთი უბედური. არა. ისეე თავისავე შეუნგებელ შვილებისაგან არის ასეთს მდგომარეობაში; სოფელ ჯიმითში მოხარჯე და უხარჯო 423 კომლია, ამოდენა სოფელსა და ხალხს არა ჰყავს რიგიანი და შეგნებულ-განვითარებული მოთავე, არა ჰყავს კეთილ-სინდისიერი პატიოსანი მზრუნველი, არა აქვს სამმართველო და კანცელარია. კანცელარიად აქვს ერთი პაწაწა ქოხი, ისიც სხვისგან ნათხოვარი, შიგ ოთხი კაცი ძლივს ეტევა. არა აქვთ საქმის საწარმოებელი დავთარები. არ იციან, რომელსა და რა წელს რა გარდასახადი გარდაიხადა სოფელმა, სახელმწიფო და საერო. არც ის იციან, ვისთან და სად ინახება, გარდახდილ ხარჯის ბარათები. არ იციან, ვის რაში და რისთვის აძლევენ ფულს. არ ელვეს სოფელს ესრედ წოდებული «ნედოიმკები», თუმცა არც ერთხელ არ დარჩენია ს. ჯიმითის გარდაუხდელი ფული ნედოიმკად. გაწერაა კიდევ ხარჯისა და უთავბოლოდ სწარმოებს ეს საქმეც. ამ ხარჯის გარდახდაში უფრო გარეგ გასული ხალხი და ქვრივ-ობლები იჩაგრებიან. შარშან ერთ წვრილშვილის პატრონს დედაკაცს ქვრივს წაართვეს 70 კაპ. ნედოიმკა და ხარჯი 4 მან., იმ ქვრივს, რომელიც თავის მცირე წლოვან პაწაწა შვილებს თითქმის მთხოვრობენ-ით ინახავს; ვინ უნდა იყოს ამ უსამართლობის ამომგდები და მომსპობი თუ არ სოფლის წარმომადგენელნი და შეგნებულნი, კეთილ სვინდისიერნი კაცნი? ჩვენი თავში საკეთილეგ ეგ არის, რომ არ ამბადია ს. ჯიმითის ამისთანები. სოფელს დღემდე არა ჰქონია და არა აქვს სასწავლებელი. არა აქვს იმიტომ-კი არა, რომ, ვითომ ვერ შეინახონ ერთი ერთ-კლასიანი სოფლის სასწავლებელი. შენახვით შეინახავენ და კიდეც ექნებოდათ აქამდე, მაგრამ რამდენსამე უკუღმართის კაცის გავლენით ვერ შეძლო ეს ჯიმითმა. აქ რომ სკოლა გაიმართოს და ნასწავლი კაცი დატრიალდეს სოფელში, მაშინ ამ ვეებატონებს, ჯამი ნაკრით აემსუბათ. და აბა რათ და რისთვის მოიწადინებენ სკოლას.

შარშან, ენკენისთვის 5-ს გაემგზავრნენ ქ. სიღნაღიდან ბედ-კრული სოფელ ჯიმითში ყოველად პატივსაცემნი და ხალხის გულ-შემატკივარნი კაცნი სკოლის გასამართავად: ხარსის წმ. სტეფანეს ეკკლესიის წინამძღვარი არხიმანდრიტი მ. ლეონიდი და სიღნაღის მთავარ-ანგელოზის ეკკლესიის დეკანოზი მ. ს. ბეგიაშვილი. არ დაჰზოგეს არც შრომა, არც ხარჯი, ეგებ როგორმე მოვახერხოთ ს. ჯიმითის საზოგადოებისათვის სკოლაო. ამათ დახვდათ ქოდალოს საბოქაულოს ბოქაული ლ. ანდრონიკაშვილი და მის მეცადინეობით ხალხი შეყრილი იყო დანიშნულ ალაგას. მ. არხ. ლეონიდმა ტკბილის, და გრძნობიერ სიტყვა ქადაგებით, აუოსნა ხალხს სწავლის მნიშვნელობა და მ. ს. ბეგიაშვილმა უქადაგა, თუ რამდენად კარგია სწავლა და რამდენად ძნელია უსწავლელობა. როგორ ადვილად სცხოვრობს სწავლული და როგორ ინანჯება ამ უსამღერ წუთი-სოფელში უსწავლელი; სკოლის გამართვა თითქმის ხერხდებოდა, მაგრამ უკუღმართობის წუალობითა და ჩაგონებით ხალხმა ერთხმად უარი განაცხადა, თავისავე საუბედუროდ. მაშინ, როდესაც, მათივე მეზობელი და მათ სოფელზე ბევრად პატარა სოფელ ყანდაურას, საცა უხარჯო და მოხარჯე 302 კომლია, აგერ, კარგა ხანია, სკოლა აქვს. ამ სოფელმა ააშენა მშვენიერი სახლი, როგორც სკოლისათვის, ისე მასწავლებლისათვის, ჰყავს ღირსეული და ბეჯითი მასწავლებელი და ინახავენ მშვენივრად.

რახმაძე

ᲬᲔᲠᲘᲚᲔᲑᲘ ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗ

I

ნება მაბოლეთ თქვენ ს გაზეთის: საშუალებით გულითადი მადლობა გამოვუცხადო ტფილისში მოკაჯრეს ბ-ნს ესტეტე ნიკოს ძე ჩხარეშვილს, რომელმაც გამოუწერა რუსულენოვანს ჩემდა სუფლის საკეკლესიო სამრეკლო სკოლას ამა 1894 წლის ჟურნალი „ᲬᲘᲜᲐᲡᲬᲐᲠᲘ“.

სუფლის საეკლესიო სამრეკლო სკოლის მასწავლებელი ნოე ილარიონის ძე კეკელიძე.

II

ბოგზაურნი ჩემ მიერ შეკრებილს ოცს მანეთს. ათს საფილტრატურო ფონდის სასარგებლოდ და ათს შოთა რუსთაველის ძეგლის აგებას მოსახმარებლად. გთხოვთ დაბეჭდოთ სია შემომწირველთა:

გრ. სოფ. თუმანოვისამ—3 მან., მ. ზედგინიძემ—4 მან., ს. გომელაურმა—5 მან., კესარია ტატიანეისამ, მღ. დ. ანჭოშვილმა, ილია თუმანოვმა, ე. ბულგაკოვმა, რ. ლაკტოშმა, ალ. სარქისოვმა. №№.-მა და №№-მა თითო თითო მანეთი.

ანდრეი გომელაური

ქალ. ახალ-ბაიაზეთი.
26 ივნვარს 1894 წ.

ᲜᲐᲠᲒᲕᲔᲚᲘ

ცნობილი რუსის პუბლიცისტი ნ. მიხაილოვსკი სწერს ფრანგულს ჟურნალს Revue des Revues'ს იანვრის №-ში რუსეთის ლიტერატურის მოძრაობის შესახებ მესამოცე წლებში. მიხაილოვსკი მოუთხრობს საფრანგეთის საზოგადოებას იმ გამოფხიზლების ამბავს, რომელიც მოჰყვა რუსთათვის ყირიმის ომში დამარცხებას. „რუსეთის საზოგადოების მდგომარეობა შემდეგ სებასტოპოლის აღებისა, ბევრად ჰგავდა საფრანგეთის ამბავს შემდეგ სედანისაო.

ორივე ქვეყნის ეროვნული ღირსება სასტიკად შეღალული იქნა და ორთავემ განიზრახა შინაგან ცხოვრების განკარგვითი და რეფორმებით განეკურნათ თავი“.

რუსის მწერალი დიდს მნიშვნელობას აძლევს რუსეთის განვითარებისათვის გლეხთა განთავისუფლებას. „ის სირცხვილი, რომელიც ჩვენ დაგვატეხა თავს ყირიმის ომმა, სრულად განჰკრა მონების განთავისუფლების წინაშე; დიდად სასიამოვნო და სანეტარო იყო სიცოცხლე იმ დროსაო“, აღტაცებით დასძენს მიხაილოვსკი.

შემდეგ ავტორი განმარტავს იმ უთანხმოებას რუსეთის მწერალთა დასებ შორის, რომელიც მოჰყვა გლეხთა განთავისუფლებას. ახალმა წეს-წყობილებამ დაჰბადა მრავალი საგანი, უფრო-კი მამულის მფლობელობის შესახები, რომელმაც გაჰყო რუსეთის მოღვაწენი ორ დასად.

პეტერბურგის წარჩინებულნი მწერალნი, რომელთა ბანაკად ითვლებოდა „სოვრემენნიკი“, ემხრობოდნენ დასავლეთის განათლების იდეალებს და ეს თანაგრძნობა ევროპისა ძვირათაც დაუჯდათ; ხოლო წინააღმდეგ აზრების მიმდევარნი იკრიბებოდნენ მოსკოველ ჟურნალისტის კატკოვის დროშის ქვეშ, რომელთა ორგანოდ ითვლებოდა „რუსეი ვესტნიკი“.

ამ ორ უკიდურესს მიმართულების მწერალთა შორის შეიქმნა გაცხარებული კამათობა. მაგრამ უეცარმა შემოხვევამ შესწყვიტა ეს განცხოველებული მოძრაობა... დობროლიუბოვი გარდაიცვალა 1861 წელს, ხოლო ჩერნიშევსკი დაეთხოვა ლიტერატურას; ასპარეზი დარჩა ყოველად ძლიერს კატკოვს, რომელსაც ხელი შეუწყო პოლონეთის ამბოხებამ“.

„კატკოვმა პირველად იჩინა თავი თავისუფალ აზრების ქადაგებით, მაგრამ ბოლოს საშინელ რეაქციონერად გადაიქცა, და ყოველ რეფორმის წინააღმდეგი გახდა. კატკოვმა მოიპოვა ისეთი გავლენა, რომლის მზაგავი რუსეთის მწერალს არაოდეს არ ჰღირსებია. იგი იმ განზრახვით რომელსაც არავითარი კავშირი არა აქვს ლიტერატურასთან, სრულიად თავისუფლად და უშიშრად სწერდა ყოველ იმ მოხელეს წინააღმდეგ, რომელიც იმის აზრს არ ეთანხმებოდა; კატკოვს ღონე ჰქონდა მწუხარება გაეჩინა სხვისთვის, მაგრამ ამ სხვას-კი თავის დაცვის ნება არა ჰქონდა.ამ დროს მოსკოვის მწერალის გავლენა და ღონე უმწვერვალეს წერტილამდე იყო ასული და მისის მეცადინეობით 1866 წ. გაუქმებულ იქმნა ორი საუკეთესო ჟურნალი, სადაც თანამშრომელობდნენ: პისარევი, დობროლიუბოვი და ჩერნიშევსკი“.

მიხაილოვსკი კიდევ ეპირებს ამ საგანზედ მუსაიფის განგრძობას. იმედი გვაქვს, თავის დროზედ შევატყობინოთ მკითხველს რუსის მწერლის შემდეგი აზრიც.

ᲡᲐᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐᲡᲗᲕᲘᲡ ᲬᲘᲠᲘᲚᲘ

ჩვენი სახალხო საეკლესიო წიგნები.

1. „სიმრთელის კედობანი“ ოჯახში სახითა-სახმარებელი სამკურნალო წიგნი. შედგენილი და გამოცემული ილ. ვეს—ძის სულაქველიძის მიერ. ფოთი 1891 წ. ფასი 1 მან.

2. კარაბადინი, სახალხო საეკლესიო წიგნი. შედგენილი დეკანოზის დავთი ღამბაშიძის მიერ. გამოცემა მეორე დამატებით ქუთაისის 1893 წ. ფასი 1 მ. 20 კ.,

3. საეკლესიო ცნობები ვ. გუნიას „საქართველოს კალენდარში“ 1894 წ.

(შემდეგი *)

სია 55, საცა უნდა დაწვრილებით ახსნა წამლის მომზადებასა იქ მოკლედ და ყრუდ სწერს და ამ უბრალო საგანზედ-კი, როგორიცაა მდოგვის ცომის მომზადება, ამდენს სიტყვებს ხარჯავს. სია 57, „მკვრის—კეკის ხის წვეთ“ ეს რაღაა, მბეკია თუ ფრინველი? „Стиракс“ ქართულადაც სტირაქსია. სია 61, განა რათანია ბალახია? რათანია ხეა, ბუჩქად იზდება ამერიკაში, ანდის „მთების ფერდოებზე. ამასთანავე თუნდ ბალახიც იყოს, ბალახიდან-კი არა მზადდება ექსტრაკტი, ძირიდგან არის მომზადებული. სია 62, განა „Молочнокислая Закись Желѣза“ რძეზე დამყავებული რკინის ნაქლიბია? სია 63, განა ეფანდიდ დროში გვარ-ყლოს სასმელად კიდე ხმარობენ? სია 64, ეს ძრიელ სასარგებლო საშუალებაა და ასე ცოტას და გაუგებრად ამბობს. სია 77, ქაფურის ზეთი მშვენიერი საშვალებაა და დიდად სახერხო სასარგებლო სახალხო წამალია. მაშასადამე ამის მომზადება მაინც რიგიანად უნდა დაეწერა „კიდობანის“ ავტორს! ავტორი გვეუბნება: ერთი დრახმა ქაფური რვა უნც ზეითუნის ზეთში გახსენითო, მაშინ როდესაც (1: 9) რვა უნც ზეთს შვიდი დრახმა ქაფური უნდა. —სია 82, углекислое кали ავტორს ასე უთარგმნია—მეავ-კალა მარილი!!!... რაღა უპირს ჩვენს საქართველოს, რა-კი ამისთანა ქიმიკოსები ჰყავს! სია 88, დანამასტიკი განა ფიქვის ხის წვეთია? „Канифоль“ განა დანამასტიკია? საცა რუსულად „мастика“ არის, იქ კიდევ ქართულადაც მასტიკას სწერთ. მაშინ როდესაც მასტიკა ქართულად დანამასტიკია და მშვენიერი ტერმინიც გვაქვს ქართულად. სია 89, ვინც თქვენნის დარიგებით ეგ წამალი მომზადოს, მე წილს ნუღარ დამიდებს. ამასთანავე კოპაის ბალასანი (копайскій бальзамъ?)დიდი ხანია ალარ იხმარება დასალეკვად, რადგან თირკმლების ანთება ემართება ავადმყოფს.

მე 90 სია-კი „კიდობნის“ ავტორს საშინელი რეცეპტი მოკვაეს. ავტორი ღღეში აკმევს ავადმყოფს ორ მისხალ კოპაის ბალასანს, სამ მისხალ ქაბაბიას და ერთ მისხალ ზაბს! ღმერთმა შეიძლებინოთ, ვისი კუპიც და თირკმლებიც ამ წამალს აიტანს

მკითხველთან ბოდიშს ვიხდი, რომ ასე შევაწუხე ამდენის ჩხრეკით, მაგრამ როგორ მოუთმინოს კაცს გულმა! აგერ მე—97 სიაში ჩვენი მეცნიერი ჯჯეთ magnezia-ს თაბაშურს ეძახიან!!! —მეასე სიაში уксуснокислый глиноземъ სი (Alumina acet: ca), და свинцовый сахаръ-ი ერთ და იგივეთ მიაჩნია და ქართულადაც ძმარ-მჟავა ტყვიის შაქარს უწოდებს уксуснокислый глиноземъ!!...

ღმრთო დაგვიხსენ, ამისთანა მეცნიერებისაგან! ღმერთო, დაიფარე ხალხი ამისთანა გულ-შეზატკივართაგან! ამას შემდეგ მკითხველისათვის მიმინდვია, რამდენად უნდა ფთხილად იყოს და ერიდოს ამ გვარად შედგენილ საეკლიმო წიგნებს.

ზიარელი პროვინციარი

(შემდეგი იქნება)

ᲒᲐᲡᲐᲠᲗᲝᲜᲘ

—

აი ერთი საყურადღებო ადგილი, ამოწერილი ინგლისელ მოგზაურის დღიურიდგან: „სამი დღე დავეხეტებოდით კუნძულზედ და არ ვიცოდი, სცხოვრობდა ზედ ვინმე, თუ ნახევრად ნადირნი მოსახლობდნენ და ვერსად დავესაბა. უცვე ზღვის პირად სარჩობელა და ზედ ჩამორჩობილი კაცი დავინახე და თავისუფლად ამოვისუნთქე. მაღლობა ღმერთს, განათლებული ყოფილან ამ კუნძულის მკვიდრნი!—მეთქი, წამოვიძახე.

**

სანტეილს, განთქმულს ქადაგებათა მთქმელს მოძღვარს ქალაღლის თამაშობა ძალიან უყვარდა. ერთხელ საქადაგებლად დაუძახეს სწორედ იმ დროს, როდესაც ყმაობაზობაში იყო გართული. სანტეილი წავიდა, მაგრამ თავისი სათამაშო ქალაღლიც თან წაიღო. ქადაგების თქმის დროს უცბად ხელი გაიწოდა და ტანისამოსის სახელოში დამალული სათამაშო ქალაღლი გადმოუცვივდა. ცხვა ინის ადგილას დიდად დაინეოდა და შერცხვებოდა, მაგრამ სანტეილს წარბიც არ შეუხრია, იქვე ტრაპეზთან ათის წლის ყმაწვილი იდგა, მიუბრუნდა ამას და ჰკითხა:

— აი ის ქალაღლი აიღე, რა ქალაღლია?

— ყვავის ქალია.

— ძალიან კარგი. აბა ახლა დამისახელე პირველი სათნოება ღმრთისა?

— არ ვიცი.

— გაიგონეთ, ძმანო ჩემნოო, შესძახა მქადაგებელმა და უკმაყოფილოდ გაიქნია თავი: დედამიწას ჯერ არ ასცილებია, სათნოება ღმრთისა არ იცის და სათამაშო ქალაღლსკი უკვე სცრობს კიდეცაო.

ამით ისარგებლა მღვდელმა და საუცხოო ქადაგება წარმოსთქვა.

**

შესანიშნავი რუსეთის მწერალი ერთხელ თეატრში იყო, როდესაც ქნნი რეპინა იღებდა მონაწილეობას. იმის გვერდით ერთი სქელი ვაჭბატონი იჯდა, რომელიც აღტაცებით დაენებული სცემდა ტაშსა და პუშკინს ყურებს უტეხდად. პუშკინმა იმდენი ტაში რომ ვეღარ აიტანა, სტვენნ დაიყოო, რაც ქნ რეპინას თაყვანისმცემელს, რასაკვირველია, არაფრად ეკარგნა.

— დაანებეთ თუ არა სტვენნს თავს, სულელოო! შესძახა პუშკინს.

— მაგ საგინებელი სიტყვით შეურაცხებას ვერ მომაყენებო, უპასუხა პუშკინმა, რადგან მთელმა რუსეთმა იცის, რომ პუშკინი სულელი არ არის და რომ მხოლოდ მართლა მტკნარს სულელს შეუძლიან მაგისი თქმა. ესეც არ იყოს, დიდის სიამოვნებით გითვაზებდი რამდენსამე ალიყოლს, მაგრამ მეშინიან, ვაი თუ ქ-ნმა რეპინამ ტაშის ცემად მიიღოს და მე-კი არა მსურს იმის თამაშობის მოწონება.

ᲒᲐᲛᲝᲬᲚᲐᲓᲔᲑᲘ ᲪᲜᲝᲑᲐ

—

ᲒᲐᲠᲢᲝᲜᲘᲤᲘᲚᲘᲡ ᲤᲥᲕᲘᲚᲘᲗᲘ ᲥᲚᲐᲕᲔᲑᲘᲡ ᲐᲛᲝᲬᲚᲔᲑᲐ. კარგი კარტოფილის ფქვილი შეახეთო ტოლმის ნაწერში. დასვეთო ცხელ წყალში და ამითი კარგა ბაგრა გასწორდეთ ქონის ღაჭარ ცარცისა ბაფლაზედ და ღაჭა უფაქვილად ამოგა. ძალიან სწორად მოხდება ხოლმე, რომ ქალაღლის

სათამაშო სტოდის მწვანე მაუდს სანთლის ნაღვენთი დასჩნდება, ამასთანა შემთხვევაშიც მუდის დანით ამოფხეკეთ და ტრელი წყლით დანამული კარტოფილის ფქვილი კარგა ბღლმად დასვდეთ. რაც ფქვილი სრულებით გაშრეს, ასწმინდეთ მაუდიდგან ეს ფქვილი და სანთლის ნაღვენიც თან აჰყვება.

დეპეშა

31 იანვარი

პეტერბურგი. „Вѣстникъ финансовъ“-ში გამოცხადებულია, რამდენად დაკლებულია ის ბაჟი, რომლის შემოღებაც უნდათ რუსეთისა და გერმანიის შორის სავაჭრო ურთიერთობისათვის.

„Новое Время“ ამბობს სრლიად რუსეთის სამრეწველო გამოფენა დაიწყება ნიჟნი-ნოვგოროდში 15 იანვარს 1896 წელს, ხოლო გაუქმდება 15 სექტემბერს; შეიძლება ვიდა გაუქმებისა გადადებულ იქმნას, გამოფენაზე 21 განყოფილება იქნება; განზრახავ აქვთ ცალკე საეტნოგრაფიო განყოფილებაც გაჰმართონ.

პეტერბურგის ბირჟა, 25 იანვარი.

	მყიდველნი.	გამყიდველნი.	ბაღდადელნი.
	მან. კ.	მან. კ.	მან. კ.
ხუთ-მანათიანი ოქრო .	7,42	7,48	— ,,
ტამოჟნის კუპონები .	148	147	— ,,
მანეთიანი ვერცხლის ფული.	— ,	— ,,	— ,,
5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი . . .	— ,,	— ,,	241
—მეორისა		— ,,	225½
4% მესამე სესხისა. .	— ,,	— ,,	— ,,
სახელმწიფო თავად-აზნაურობის ბანკის მომგებ. ფურცელი .	— ,,	— ,,	190
გრაფინობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა:			
6%	— ,,	— ,,	— ,,
5%	— ,,	— ,,	— ,,
ქუთაისის ბანკის 6%.	— ,,	— ,,	— ,,
5%.	— ,,	— ,,	— ,,
5% ობლიგაც. ტფილისის ქალაქის საკredიტო საზოგადოებისა	— ,,	— ,,	— ,,

რკინის გზის მიმოსვლა

ტფილისიდგან ბათუმს მიდის საფოსტო მატარებელი № 2 9 ს. 30 წ. დილ. და № 4 6 ს. 50 წ. საღ.

ბათუმიდგან ტფილისს მოდის № 1 9 ს. 52 წ. საღ. და № 3 12 ს. 25 წ დღ.

ტფილისიდგან ბაქოს № 3 მიდის 1 ს. 20 წ. დღ.

ბაქოდგან ტფილისს მოდის 5 ს. 50 წ. საღ.

ტფილისსა და განჯას შუა.

ტფილისიდგან განჯას მიდის 9 ს. 20 მ. საღ.

განჯიდგან ტფილისს მოდის 1 ს. 30 წ. დღის.

ტფილისიდგან ხაშურს მიდის 3 ს. დღ. ხაშურიდგან ტფილისს 8 ს. 10 წ. დილ.

მიმოსვლა ცეცხლის გემებისა შავს ზღვაზედ

ბათუმიდგან გადის:

ხუთშაბათობით: დღისით 12 საათზე მოკლე გზით, შეიელის ნოვოროსიისკში და კერჩში.

სამშაბათობით და შაბათობით: შორის გზით 2 ს. შუად. შეიელის ყველა ნავთსადგურში.

ბათუმში მოდის:

ლამის 12 საათზე სწორე გზით ნოვოროსსისკით და სოხუმით.

ოთხშაბათობით: დილით სწორე-გზით ნოვოროსსისკით და სოხუმით.

პარასკევობით და ოთხშაბათობით: საღ. შორის გზით, შეიელის ყველა ნავთ-სადგურებში.

ფოთში მოდის:

საფოსტო და სახალხო ბათუმიდგან კვირა დილით, განთიადისას.

პარასკევობით: საფოსტო და სახალხო.

სამშაბათობით: დღისით სახალხო და საქონლისა ოდესიდგან.

ხუთშაბათობით: დღისით სახალხო და საქონლისა ბათუმიდგან.

ფოთიდგან გადის:

პარასკევობით: ნაშუადღევის ორ საათზე საფოსტო და სახალხო ოდესაში და ყველა ნავთსადგურში შეიელის, დილის 5 საათზე.

ხუთშაბათობით: საფოსტო და სახალხო საქმის გათავების შემდეგ ბათუმში.

სახალხო და საქონლისა ბათუმში, სამშაბათობით, დილის 10 საათზე.

სახალხო და საქონლისა ხუთშაბათობით ოდესაში და ყველა ნავთ-სადგურში შეიელის.

საქონლისა და სახალხო ვემზე II და III კლასის მოგზაურები მიიღებიან უსაგზლოდაც.

—

განცხადებანი

1893 წლის 8 ივნისის სატრაქტირო დებულების მე-34 §-ის თანახმად, ქალაქის გამგეობა სთხოვს ლუდხანების, რომელშიაც ცხელს საშმელს აკეთებენ, ღვინის სარდაფების, სასტუმრო ოთახების, ყავახანების, ჩაის მყიდველების, რომელთაც ცხელ საშმლის კეთების უფლებაცა აქვთ, კანდიტერებისა და პიროჟნის მკეთებელთა მობრძანდნენ 4 ამა თებერვალს, პარასკევს, 1894 წლისას, ქალაქის გამგეობის სადგომში და გაანაწილონ თავის შორის სატრაქტირო გარდასახადი 1894 წლისა, რომელიც ქალაქის სასარგებლოდ უნდა გამოერთვათ.

ხოლო ტრაქტირებისა, სასმელ დუქნებისა, ბუფეტებისა, გასტრონიცებისა, სასტუმროებისა, საშმელ დუქნებისა და ბაკების პატრონთ, ქალაქის გამგეობა, სატრაქტირო დებულების მე-33 §-ის თანახმად, სთხოვს მობრძანდნენ: 1, სასმელ დუქნების პატრონი 1894 წლის 5 თებერვალს, კვირას, ქალაქის გამგეობის სადგომში; 2, ტრაქტირების პატრონთ 1894 წლის 8 თებერვალს; 3, ბუფეტებისა, გასტრონიცებისა და სასტუმროების პატრონთ ამა 1894 წლის 10 თებერვალს; 4, საშმლის დუქნების პატრონს—1894 წლის 12 თებერვალს და 5, ბაკების პატრონთ—1894 წლის 14 თებერვალის გარდასახადის გამანაწილებელ კომისიის წევრთა ამოსარჩევად.

(3—1)



ტფილისში ა. არისტაკოვის საოფთიაქო მაღაზიაში და „კავკასიის ამხანაგობის“ საწყობში.

„წერა-კითხვის საზოგადოების“
ᲬᲘᲒᲜᲘᲡ ᲛᲐᲦᲐᲖᲘᲨᲘ
ისყიდება შემდეგი წიგნები:

	მან.	კაპ.
ახალი ვარიანტი წმ. ნონოს ცხოვრებისა . .	„	40
ბუნების კარი ყდით ი. გოგებაშვილისა . . .	„	90
გეომეტრია II მ. ყიფიანისა	„	50
ვისრამიანი..	1	50
თხზულ. რ. ერისთავისა I	1	„
თხზულ. რ. ერისთავისა II	„	40
კოკორი, ანუ ანბანი და პირველი საკითხვი წიგნი, სახლობაში სახმარები, ი. გოგებაშვილისა	„	10
კრილოვის არაკები, თარგ. აკაკისა	„	30
იგივე მშვენიერის ყდით .	„	80
მოთხრობანი ვაჟა-ფშაველასი.	„	30
შექსპირის დრამები ს. ყიფიანისა	„	20
პატარა მოამბე II ალ. მირიანაშვილისა . . .	„	10
რობინზონ კრუზო, თარგ. ან. თუმანიშვილისა. .	„	30
რუხი მგელი გ. წერეთლისა	„	15
ქილილა და დამანა . .	3	„
შალვას თავგადასავალი ცალკისა	„	15
ცვარი შ. მდივნელისა .	„	30
წითელი ფარანი, თარ. ანდრონიკაშვილისა . .	„	15
ხომლი, ანუ რჩეულთა ლექსთა კრება, ი. გოგებაშ.	„	30
ხატაური ან. თუმანიშვილისა.	„	10
კონა ი. გოგებაშვილისა .	„	50
კუნწულა, ანუ მოთხრობანი მოზრდილ ყმათათვის ი. გოგებაშვილისა .	„	40
შინაური საქონელი და იმისი მოვლა-მოშენება ი. როსტომაშვილისა . .	„	5
ვიქტორ-ჰიუგოს რომანიდამ „ოთხმოც-და-ცამეტი წელი“ დ. ყიფიანისა.	„	20
სიბრძნე-სიცრუის წიგნი ს. ორბელიანისა. . . .	„	50
ლექსები ვახტ. ორბელიანისა	„	20
დავით აღმაშენებელი, დრამა ალ. ორბელიანისა .	„	40
გმირისეულის ქალი, მოთხრობა ს. მგალობლიშვილისა	„	20
მეველე, მისივე. . . .	„	10
თავადი იერონიმე, მისივე.	„	10
მთიული სოსე, მისივე . .	„	10
ქრისტინე, ე. ნინოშვილისა	„	20
რავდენიმე მოთხრობა მისივე.	„	50
ოტელო, დრამა შექსპირისა, თარგ. ი. მაჩაბელისა.	„	50
ქართული გრამატიკა. ეორდანიასი	„	55
ლექსები გრ. ორბელიანისა	„	50
სამზარეულო ქართულისა და ევროპიულის საშმელებისა	1	20
თხზულებანი ი. დავითაშვილისა	„	80
სურამის ციხე, მოთხრობა ჭონქაძისა	„	25
თამარ, სპარსული ლეგენდა	„	10

„ᲘᲕᲔᲠᲘᲐ“

ამ 1894 წელს გამოდის ყოველ-დღე, გარდა იმ დღეებისა, რომელნიც ზედ მოსდევენ კვირა-უქმეებს. ფასი გაზეთისა:

12 თვით. . . .	10 მ.—კ.	6 თვით . . .	6 მ.—კ.
11 ,, . . .	9 ,, 50,,	5 ,, . . .	5 ,, 50,,
10 ,, . . .	8 ,, 75,,	4 ,, . . .	4 ,, 75,,
9 ,, . . .	8 ,, —,,	3 ,, . . .	3 ,, 50,,
8 ,, . . .	7 ,, 25,,	2 ,, . . .	2 ,, 75,,
7 ,, . . .	6 ,, 50,,	1 ,, . . .	1 ,, 50,,

საზღვარ-გარეთ დაბარებული ელირება 17 მან. მთელის წლით. სოფლის მასწავლებელთ ,,ივერია“ მთელის წლით დაეთმობათ 8 მან. ტფილისსა გარედ მცხოვრებთა უნდა დაბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით: Тифлисъ. Въ редакцію „ИВѢРІА“.

თუ ტფილისში დაბარებული გაზეთი ტფილისს გარეშე ადრესზედ შესცვალა ვინმემ, უნდა წარმოადგინოს რედაქციაში ერთი მანათი; სხვა ყოველის ადრესის შეცვლაზე—ორი აბაზი.

თუ თვის განმავლობაში დაიბარა ვინმემ გაზეთი არა მთელის წლით, მას მხოლოდ შემდეგის თვის პირველ დღიდგან გაეგზავნება. განცხადება მიიღება გაზეთის რედაქციაში.

ᲤᲐᲡᲘ ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲡᲐᲑᲔᲭᲓᲐᲓ

ა) მეოთხე გვერდზედ თითო ჯერ სტრიქონი—8 კაპ., პირველზე—16 კაპ. ბ) სრულიად უკანასკნელი გვერდი—30 მანეთი, ხოლო პირველი გვერდი—60 მანეთი. რიცხვი სტრიქონებისა გამოანგარიშება ამის გვერდობაზე, რამდენსაც დაიწერს 25 ასო გაზეთის ტექსტისა.

ხელ-ნაწერები, წერილები და კორესპონდენციები რედაქციის სახელობაზედ უნდა გამოიგზავნოს. ხელ-ნაწერები, ან საგაზეთო წერილები, თუ საჭიროება მოითხოვს, ან შეიოკლებულ, ან შესწორებულ იქნება. ხელ-ნაწერს, რომელიც დაბეჭდილი არ იქნება, თუ ერთის თვის განმავლობაში პატრონმა არ მოიკითხა, მერე რედაქციას ვეღარ მოსთხოვს.

არა-გვარს მიწერ-მოწერას დაუბეჭდელ ხელ-ნაწერებისა და წერილების მესახებ რედაქცია არა ჭკისრულობს.

პირისპირ მოსალაპარაკებლად რედაქცია თავისუფალი იქნება ყოველ-დღე, კვირა-უქმეებს გარდა, ათ საათიდგან პირველ ათამდე და სალამოობით 6-დგან 7½ საათამდე.

რედაქცია იმეოფება: ნაოდოროზის ქუჩაზე, 21.

გაჟეთხილება.

დიდი მოთხოვნილება და განთქმული სახელი ჩვენგან შედგენილის:

ყვავილების ო-დე-კოლონისა,

ვლიცერინის საპონისა სახეებით,

ვლიცერინის პუდრისა,

ექსტრაქტისა სპარსულ იასამნის და რეზედის ყვავილებისაგან,

საუკეთესო კოლოფები და სხ.

აიძულებს ჩვენს კონკურენტებს **მოგვბაძონ** ჩვენ არა მარტო ჩვენი საქონლის ჩვენგან დარქმეულ სახელებით, თვით გარეგნულის მორთულობითაც, რომ ამით შეაცდინონ საზოგადოება და გაავრცელონ თავიანთ საქონლის გასყიდვა, რის გამოც ვსთხოვთ პატივცემულთ მონასყიდეო, როდესაც ჩვენს საქონელს ყიდულობენ, მიაქცონ ყურადღება ჩვენს ფირმას და ქარხნის მარკას.

ᲑᲠᲝᲙᲐᲠᲘ ᲓᲐ ᲙᲝ.

(8—6)

„ᲜᲔᲕᲘᲡ ᲙᲐᲠᲘᲜᲘᲡᲖᲔᲑᲘ“

ᲓᲣᲮᲔᲑᲘ—„ნევის კარინიზი“
ᲝᲓᲔᲙᲚᲝᲜᲘ—„ნევის კარინიზი“
ᲡᲐᲠᲜᲘ—„ნევის კარინიზი“

„მაუსკ“ დუხები | ახალი ამბავი ს.-პეტერბურგის | „მაუსკ“ სხ. ტ. ოდეკ.

სტეენნიკო და სასინთო ლაბორატორიისა.

„ᲙᲐᲠᲘᲜᲘᲡ ᲜᲔᲕᲘᲡ“ გასაკეთებელს იარაღს მრავალი კარგი ღირსება აქვს და დამზადებულია ქ. ჩიკაგოს გამოფენისათვის.

საწყობები: С.-ПЕТЕРБУРГЪ, площадь Александринскаго театра, 9.

Москва, Никольская, д. Шереметьева.

Варшава, Новый Свѣтъ, 37, და საუკეთესო რუსეთის მაღაზიებში

(50—27)

Доз. ценз. Тифлисъ, 1-го Февраля 1894 г. სტამბა მ. მარაძისა და ამხანაგობისა. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე